[illegible] კომუნისტური პარტია (ბოლშევიკები.)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შე[illegible]

ეროვნული

# ახალი კომუნისტი

კვირა, 21 ნოემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 100 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტებისა. № 100

## ემზადეთ რკინის-გზელთა ყრილობისათვის

ათი დღის შემდეგ მოწვეულ უნდა იქნეს რკინისგზელთა ყრილობა. რიცხვით ეს მესამე ყრილობაა საქართველოს „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებრივ არსებობის მთელი ხნის განმავლობაში. პირველი ყრილობა შესდგა 1918 წ., როდესაც ტონს იძლეოდენ მენშევიკებთან ერთად გერმანიის საოკუპაციო მართველები, რომლებსაც რკინის გზებს გადაჰყავდათ გერმანია-ოსმალეთის ეშელონები ბაქოს აჯანყებულ პროლეტარიატის წინააღმდეგ. მაშინ ყრილობაზე ბატონ-პატრონათ გრძნობდა თავს რკინის-გზის მოსამსახურეთა ადმინისტრატიული ზედა პირი; რომელიც ახშობდა ნამდვილ რკინისგზის პროლეტარიატის ხმას.

იმ ყრილობაზე მენშევიკები ბულბულივით ჰიკჰიკობდენ მაგარ მთავრობის უპირატესობაზე მუშათა მასიურ ორგანიზაციების უუფლებობის დროს. მაშინ ისინი ეფიცებოდენ, რომ რევოლიუცია გაღრმავებულია მაქსიმუმამდე, რომ მისი მეტი გაღრმავება არ შეუძლიათ და არც სურთ.

მეორე ყრილობა ჩატარდა ქვედა-წრეების მომწიფებულ პროტესტის ნიშნით, რომლებიც მზათ იყვენ მოეცილებიათ კავშირისგან მას ჩინოვნიკურ ნაწილი, რომელიც მძიმე ლოდათ იყო დაკიდებული პროლეტარულ კავშირზე დაახრჩობდა მის თვითმოქმედებას, მოძრაობის გაშლას-გაფართოებას, ბრძოლის ახალ ფორმების მოძებნის და გამოყენების სურვილს. მენშევიზმის მომაკვდინებელმა აღმოჭშენამ ძირბუდიანათ ჩაკლა ჯანსაღი ზრახვების ჩანასახი, მოამწყვდიოის „კაზიონშჩინის“ ატმოსფერაში, ჩაკლა კავშირის ცენტრალური გამგეებით ბრძოლის სული, შექმნა ისეთი პირობები კავშირში და მის გარშემო, რომ ახლა ის უფრო საინტენდანტო ტიპის ორგანიზაციას წააგავს, ვიდრე მშრომელთა მებრძოლ კავშირს.

ბევრი შავი ნიშნები დაგროვდა უკანასკნელი წლის განმავლობაში ამ კავშირის ზედა წრეებში, სულთამხუთავი ატმოსფერო კიდევ უფრო გახშირდა მასში და მის გარშემო, „დაწყვეტილია“ ძაფები, რომლებიც აკავშირებდა ამ ერთ უმთავრესთაგან რიცხვით და მნიშვნელობით კავშირს დანარჩენ პროლეტარულ კავშირებთან. ბრძოლის სული საბოლაოთ ჩაკვდა მის ხელმძღვანელებში, რომლებმაც ჩამარხეს მასსების მიერ ჩაბარებული ტალანტი ბიუროკრატიზმის ნაგავში.

მორიგი ყრილობა მოწოდებულია სავსებით განიავოს კავშირის დახუთული ატმოსფერა, გასწმინდოს მისი თავლა, ჩაბეროს სიცოცხლე, რომელიც შეჰფერის პროლეტარულ ორგანიზაციას, გამოიყვანოს ის სიცოცხლის და ბრძოლის ასპარეზზე, რომელიც შეეფერება როთულ რევოლიუციონურ ეპოქას, რომელსაც განიცდიან ყველა ქვეყნის ყველა მშრომელთა მასსები.

ჩვენ ეჭვი არ შეგვდის იმაში, რომ მომავალი ყრილობა იმუშავებს რევოლიუციონურ ბრძოლის ნაკადის გავლენის ქვეშ. აქ რევოლიუციონურ-ოპოზიციონური პროტესტი შეეჯახება პროფესიონალურ-ბიუროკრატების გაყინულ იდეოლოგიას, რომელნიც შეგნებულათ თუ შეუგნებლათ ყიდის კავშირის და პროლეტარულ კლასის ინტერესებს.

ჩვენი ამხანაგები—კომუნისტები, მიუხედავათ იმისა, რომ თუნდაც მცირერიცხოვანი იქნენ საქართველოს პროფესიონალურ კავშირებში, რაც შედეგია გადასახლების, სამსახურიდან დათხოვნის და ციხეებში დამწყვდევის, მიუხედავათ ამ დაბრკოლებებისა ისინი უნდა გამოვიდენ და სააშკარაოზე გამოიტანონ კავშირის მთელი ნაკლი. ისინი უნდა ჩადგენ პირველ მებრძოლთა და პროტესტთა რიგში. კომუნისტების ფრაქცია ყრილობაზე უნდა გამოვიდეს მაქსიმალური ენერგიით შეკავშირებული, გაერთიანებული ფოლადისებური სიმაგრის ერთგულათ, რომელიც გამანადგურებელი კრიტიკით დაესხმება თავს მანდარინებს, რომელთაც კავშირი მიჰყავთ გახრწნის და ლპობის გზით.

ამხანაგებმა მთელი თავისი ენერგიით უნდა აწარმოვონ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა: ყრილობის დღის წესრიგში დასმული კითხვების ყოველი მუხლი უნდა განხილული იქნას ყოველ მხრივ. ამხანაგების მიერ უნდა წამოყენებულ იქნას ისეთი ღირს-შესანიშნავი კითხვები, რომლებიც არ არის ყრილობის დღის წესრიგში შეტანილი. ფრაქციამ ყოველ კითხვაზე უნდა წარადგინოს თავისი საკუთარი რეზოლიუცია. როგორც დელეგატების საარჩევნო ყრილობებზე ისე თვით ყრილობაზე, კომუნისტების ბრძოლის საპროტესტო ხმა მთელი თავისი სიძლიერით უნდა გაისმას. დემოკრატიულ ლაყბობის და ყველა, ცხოვრების და ბრძოლის საარსებო კითხვების მიჩქმალვის ფუნქცია რკინის გზელ პროლეტარიატის ყრილობაზე—დეე, თვითონ თავის თავზე აილონ მენშევიკებმა. კომუნისტებმა კი დაუზოგველათ უნდა გამოაქლავნონ კავშირის მთელი უარყოფითი მხარეები და უჩვენონ ყრილობას ნამდვილი ბრძოლის გზა, რომელიც გაანთავისუფლებს პროლეტარიატს ჩაგრულ და მონურ შრომის მძიმე უღელისაგან იმ რესპუბლიკაში, სადაც „სოციალისტები“ ბრძანებლობენ და შრომის პირობები ასჯერ კიდევ უფრო გაუარესებულია ვიდრე ეს ოდესმე იყო და რაც წელში სწყვეტს „პოლიტიკურათ გაბატონებულ“ მუშათა კლასს.

## კვალ და კვალ

### 6. ისინი „შუა გზით“ მიდიან!

(დასასრ. იხ. „ახ. კომ.“ № 99).

რომ თანამედროვე დრომოჭმულ საზოგადოების და სახელმწიფოს ნანგრევებზე შეუძლებელია ისეთი საზოგადოების, და სახელმწიფოს შექმნა, რომელშიაც გაბატონებული იქნება მთელი ხალხი, მისი დიდი უმრავლესობა, დემოკრატია, ამას ერთ დროს გერმანიიდან საქართველოში გადმოსახლებული კ. კაუცკიც კი აღიარებდა და ამტკიცებდა. ის თავის შრომაში: „Социальный переворот“ შემდეგს სწერდა: „რევოლიუციონურ წრეებს, მაშასადამე, საქმე ექნებათ (სოციალისტურ რევოლიუციის დროს—ქ. ქ.) უკვე არა მარტო ერთ მთავრობასთან, არამედ მყვლეფელების უზარმაზარ ორგანიზაციებთან. და ეს რევოლიუციონური წრეები არ არიან, როგორც წინანდელ რევოლიუციების დროს იყო, ხალხის დიდი უმეტესობის წარმომადგენლები, ერთი მუჭა მყვლეფელების წინააღმდეგ,—ისინი არსებითად ახლა წარმომადგენლები არიან მხოლოდ ერთი კლასის, სახელდობრ, პროლეტარიატის, რომლის წინააღმდეგ არიან არა მარტო მყვლეფელების კლასები, არამედ წვრილი ბურჟუების და გლეხების უმრავლესობაც და ინტელიგენციის დიდი ნაწილი“. (გვ. 70—71)

აი ჭეშმარიტი სინამდვილე სოციალისტური რევოლიუციის გზის შესახებ. ძალა მენშევიკების „შუა გზა“ ნამდვილი უტოპიურია, რამდენათაც მას მიზნათ აქვს დასახული ბურჟუაზიული საზოგადოების მოსპობა და მის ხანგრძლიობაზე სოციალისტური საზოგადოების შექმნა. არსებითად კი ის წმინდა წყლის ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური გზაა, ვინაიდან ის ხელს უწყობს ბურჟუაზიის გამაგრებას და დამხობილ კაპიტალიზმის ხელახლად აღდგენას მუშათა კლასის, პროლეტარიატის საზიანოთ.

ვინც ამ „შუა გზაზე“ შედგება და მას გაჰყვება, მან უსათუოდ ლოღიკური ნაბიჯები უნდა გადადგას და ამის შესაფერ დასკვნამდე მივიდეს; კაპიტალიზმის მხარეზე უნდა დადგეს აშკარათ!

და მართლაც, ამის აშკარა დამამტკიცებელი და მაჩვენებელი თვით ჩვენებური „მენშევიკებია.

რუმცაღა ისინი აღიარებენ და ცნობენ, რომ „კლასობრივი სხვა და სხვაობა, უზომო სიმდიდრე საზოგადოების ერთ ნაპირზე, უზომო სიღარიბე მეორეზე,—ეს წინააღმდეგობა იქნება, არასდროს არ ყოფილა ისე მწვავეთ, როგორც დღეს არის ყველგან.“ (იხ. „ერთობა“ № 242), მაგრამ ისინი მიუხედავათ ამისა მაინც ვერ სცილდებიან ერთხელ არჩეულ „შუა გზას“ და დრომოჭმულ, გადაშენების გზაზე დამდგარ კაპიტალიზმს ეპოტინებიან.

„აქამდის ჩვენ ვიცოდით, პროლეტარული, მეცნიერული კომუნიზმი შედეგია თანამედროვე კაპიტალისტურ წესწყობილებაში არსებულ კლასიურ წინააღმდეგობათა გამწვავების, რომ ეს შეურიგებელი წინააღმდეგობა მაჩვენებელია იმისი, რომ თანამედროვე საზოგადოება მოემწყვდა ისეთ ჩიხში, საიდანაც გამოსვლა კაპიტალიზმის ნიადაგზე ყოვლათ შეუძლებელია, რომ ამ წინააღმდეგობათა გამწვავება იმის მაჩვენებელია, რომ რეკს კაპიტალიზმის უკანასკნელი წუთები, რომ ასეთ დროს სოციალისტური პარტიის ვალი და დანიშნულებაა სათავეში ჩაუდგეს მუშათა კლასს, პროლეტარიატს და გააფთრებული იერიში მიიტანოს მომავალ კაპიტალიზმზე, რათა უკანასკნელი, სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს მას და მით გაანთავისუფლოს ტანჯული პროლეტარიატი კაპიტალიზმის მონობისაგან.

მაგრამ მიუხედავათ ყველა ამისა ჩვენი მენშევიკები არა თუ მიდიან იერიშით კაპიტალიზმზე, არამედ, პირიქით, უკანასკნელს,—რომელიც მენშევიკების სიტყვით რომ ვთქვათ „სასიკვდილოთაა დაჭრილი“, სათავეში უდგებიან და მის აღდგენას, გამომთელებას ლამობენ.

სეით დევდარიანი სწერს: „ახლა თავიდან უნდა დავიწყოთ და ვაშენოთ ჯერ ის, რაც აშენებული იყო კაპიტალისტურ ძალების საშვალებით. მაშინ კაპიტალიზმას ნაკეთებს ვიღებდით ხელში, ახლა ისევ უნდა შევუდგეთ მისი ნაკეთების, მაგრამ იმისაგან განადგურებულის ფეხზე წამოყენებას... ჩვენ, „შუაგზელები“ ვფიქრობთ, რომ სასიკვდილოთ დაჭრილი კაპიტალიზმი უნდა გამომთელდეს, ისევ უნდა დაიკავოს ადგილი წარმოებაში. ის უფრო მომამზადებს ნიადაგს სოციალიზმისათვის, ვიდრე „კომუნისტ“—„Коммунист“-ის სოციალისტური რევოლიუცია. ამ მხრივ ჩვენ უფრო ახლოს ვდგევართ „ევროპიულთან“, და უფრო შორს ვართ „ბოლშევიკურისგან“ (იხილე გაზ. „ერთობა“ № 242 ხაზ გასმული ჩვენია ქ. ქ.) ესე იგი უფრო ახლოს დგანან ბურჟუაზიასთან, ვიდრე პროლეტარიატთან.

აი მენშევიკების აღსარება, აი მათი დღევანდელი მრწამსი. ულმობელი ცოცხალი სინამდვილის მიერ „სასიკვდილოთ დაჭრილი კაპიტალიზმი უნდა გამოამთელონ“ მენშევიკებმა! და ამას უწოდებენ ისინი მარქსიზმს, პროლეტარიატის მოძღვრებას, მეცნიერულ სოციალიზმს.

როგორი დაცინვაა სოციალიზმზე და კომუნიზმზე, როგორი გადათახსირებაა მარქს-ენგელსის რევოლიუციონურ მოძღვრების, როგორი წაბილწვაა მისი!

იმის მაგიერ, რომ მათთაც ჩაეზილათ წიხლი პროლეტარიატის სულთამხუთავ „სასიკვდილოთ დაჭრილ კაპიტალიზმისათვის“, ისინი მის ხელახლა აღდგენას ცდილობენ. ალბათ ამას მოითხოვს ჭეშმარიტად გაგებული პროლეტარიატის ინტერესები.

ვინც ანი სთქვა, მან ბანიც უნდა სთქვას!

და მართლაც არ დაიყოვნეს მენშევიკებმა ეთქვათ ეს ბანი. ეს სთქვა მათმა სანჩო-პანჩომ ბ. სეით დევდარიანმა.

მან აშკარათ განაცხადა: „ამ კეთებაში, ამ წარმოებაში სოციალიზმი ებრძვის კაპიტალიზმს, მეტოქეობას უწევს. არ არის საჭირო იმის დამალვა, რომ სოციალისტური წარმოება ვერ ერევა კაპიტალისტურის“ (იხ. გაზ. „ერთობა“ № 242 ხაზგასმული ჩვენია—ქ. ქ.).

ვაი როგორ დაილუპა ამდენი შრომა? როგორ დაილუპენ საწყალი მუშები? თურმე სოციალიზმი ვერ ერევა კაპიტალიზმს! კაპიტალიზმს უფრო მეტი სასიცოცხლო ნიშნები ქონებია ვიდრე სოციალიზმს.

აი სანამდის მიიყვანს ადამიანს მენშევიკების „შუა გზა“. აი როგორ ხრამში აგდებს ის მუშათა კლასს.

მენშევიკების მხრიდან ამის მტკიცება არ არის გასაკვირი. გასაკვირია მხოლოდ ის, რომ მენშევიკ. მუშა ამას ყურს უგდებს და ვერ ამჩნევს ამაში მუშათა კლასის და სოციალიზმის გამცემლობას.

ქ. კომუნაძე.

## საბჭოთა რუსეთის პრესა

### ხელშეკრულების შემსრულებელნი.

როდესაც ბურჟუაზიული მთავრობები გაურბიან საბჭოთა რუსეთთან ზავის ჩამოგდებას, ამ შემთხვევაში ისინი თავს იმით იმართლებენ ჩვეულებრივათ, რომ საბჭოთა მთავრობასთან არ შეიძლება არავითარი შეთანხმება, რადგან ის არ ასრულებს თავის ვალდებულებებს და მის მიერ ხელ მოწერილ პირობასაო. სინამდვილეში სულ წინააღმდეგს აქვს ადგილი. იგივე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივი მოღვაწენი, უკეთ რომ ვსთქვათ საქმის ხალხები, რომლებიც აღშფოთებულნი არიან საბჭოთა მთავრობის ვითომდა ორპირობით, ყოველ წუთში უარყოფენ თავის სიტყვას და სიცოლადაც არ ყოფნით თავისი ვალდებულებები. და რამდენათ ეს ვაჟბატონები ალმაცერათ უცქერიან მათ მიერ ხელ მოწერილ „ქაღალდის ნაგლეჯებს“ და რამდენათ ისინი აბუჩათ იგდებენ მათ მიერ დამტკიცებულ-აღიარებულ „ხალხის საერთაშორისო უფლებებს“; იმდენათ ისინი ხმამაღლა გაჰკივიან საბჭოთა რუსეთის მიერ ზავის პირობების ვითომდა შეუსრულებლობაზე. დიახ, ეს ასეც უნდა იყოს: ბურჟუაზიულ საქმის ხალხისთვის პოლიტიკა ისეთივე გეშეფტია, როგორც სხვა რომელიმე აფერა. ვაჭრობაში კი, რასაკვირველია, მათ ვერ მოატყუილებ, კაპეიკსაც ვერ გააგდებინებ.

თქვენ ამის ფაქტები გსურთ? უკანასკნელ სამი წლის ამბები იმდენ ფაქტებს იძლევიან, რამდენიც გსურთ. ამ დროს განმავლობაში იყო ოდესმე ისეთი შემთხვევა, რომ საბჭოთა მთავრობას არ აესრულებიოს თავისი ვალდებულებები? ამ სამი წლის განმავლობაში საბჭოთა რუსეთი იძულებული იყო დაედო, არა ერთი და ორი საზავო პირობები და ზოგი ამ პირობებთაგანი მეტათ ძნელი იყო ჩვენთვის. მიუხედავათ ამისა საბჭოთა რუსეთი ამ პირობებს მიუხედავათ მათი სიძნელისა ლოიალურათ იცავდა და ასრულებდა კიდეც. აბა ჩვენ მოწინააღმდეგეთ თუ შეუძლიათ ამის უარყოფა? არასოდეს. ისინი კი ყველა შეძლების დაგვარათ და ბოდიშის მოუხდელათ ღლევდენ საბჭოთა რუსეთთან დადებულ თავიანთ ვალდებულებების პირობებს. და იმავე დროს თავის მხრით საბჭოთა რუსეთიდან მოითხოვდენ, რომ მას აესრულებია არა მარტო სინამდვილეში მყოფი საზავო პირობები, არამედ ისეთებიც, რომლებზედაც ისინი (მოკავშირენი) ჯერ მხოლოდ ოცნებობენ.

მოვიგონოთ ინგლისის ყოფა ქცევა. ის სისტემატიურათ არღვევდა და არ ასრულებდა პირობას, რომ ის არ გაილაშქრებდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და არც დაეხმარებოდა საბჭოთა რუსეთის მტრებს. ინგლისმა მოულოდნელათ „შესწყვიტა მოლაპარაკება კამენევთან, მიუხედავათ ამისა ის მოითხოვს ჩვენგან 8 ივლისს დადებულ ხელშეკრულების ასრულებას, რაც თვითვე უარყო და დაარღვია. მოვიგონოთ, აგრეთვე გერმანიის ყოფა ქცევაც. ის სიტყვით ყოველთვის გაიძახის საბჭოთა რუსეთთან კეთილ-მეგობრულ დამოკიდებულებებზე, საქმით კი ხელს უწყობს მის ტერიტორიაზე რუს-სამხედრო ტყვეების სისტემატიურ მობილიზაციას კონტრრევოლიუციონურ არმიების შესადგენათ. გერმანია თავშესაფარს აძლევს ყველა რეაქციონერებს, რომლებიც დაუძინებელი მტრებია საბჭოთა რუსეთის. მოვიგონოთ ანალოგიური ყოფა-ქცევა ჩეხო-სლოვაკიის, რომლის ტერიტორიით აწვდიდა პოლონეთს საფრანგეთი სამხედრო მასალებს. მოვიგონოთ სამხრეთ-სლავიის, რუმინიის, ბულგარეთის ყოფა ქცევა, რომლების ტერიტორიაზე აქამდის ხდება კონტრ-რევოლიუციონერების მობილიზაცია და ეწყობა ყოველგვარი შეთქმულობები საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

ამ მხრივ კიდევ უფრო ღირსშესანიშნავია საბჭოთა რუსეთის მოსაზღვრე სახელმწიფოების პოლიტიკა. თითქმის ყველასთან საზავო ხელშეკრულება დავდევით და ვასრულებთ კიდეც ამ ხელშეკრულებას უკლებლივ. ხოლო მათი მხრივ რა ხდება? დეე, ამ კითხვაზე თვით ფაქტებმა უპასუხოს.

მომავალში თუ როგორ შეასრულებს პოლონეთი საზავო პირობებს, ჩვენ ეს არ ვიცით. მაგრამ ეხლა იყენებს რა ამ გარდამავალ მომენტს, პოლონეთი თავისებურათ ხსნის ამ საზავო ხელშეკრულებას. საზავო პირობებზე ხელის მოწერის დროს პოლონეთმა არ დაიხარა და გამოალაშქრა ჩვენს წინააღმდეგ სავინკოვის და ბალახოვიჩის ბრბოები. რა იქნება იმაზე უფრო დამახასიათებელი, ვიდრე პოლონეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილის ვასილევსკის განცხადება, რომ სავინკოვის და ბალახოვიჩის ჯარები გავიდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლონეთიდან „დაკმაყოფილებულნი“-ო (გავიდენ კი?). შეგვიძლია ჩვენ ვიქნეთ დარწმუნებულნი იმაში, რომ პოლონეთსა და ამ ბანდიტებს შორის ყოველივე კავშირი გაწყვეტილია, და რომ პოლონეთის მთავრობა მომავალში არავითარ დახმარებას არ გაუწევს მათ? მეორე მხრივ შეგვიძლია ჩვენ ვიყოთ დარწმუნებულნი იმაში, რომ პოლონეთის მთავრობა ეხლა არ ეხმარება და მომავალშიც არ დაეხმარება პეტლიურას მძარცველ ბრბოებს?

პოლონეთთან ზავზე ჯერ კიდევ არ არის ხელი მოწერილი, თუმცა ყველასთვის ნათელია, რომ ზავზე იქნება ხელი მოწერილი, მაგრამ ლატვიის მთავრობასთან ხომ უკვე კარგა ხანია ზავზე ხელი მოწერილი. მაგრამ ეს არ უშლის ხელს ლატვიის მთავრობას საიდუმლო კავშირი დაიკავოს გრაფ პოლონთან, სავინკოვთან, ვრანგელთან და სხვებთან. ლატვიის ტერიტორიაზე სწარმოებს ჯარის-კაცების მობილიზაცია ვრანგელის არმიისათვის; ლატვიის მთავრობის და უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები აწყობენ რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერების აგენტებთან ფარულ კრებებს, რაზედაც მონაწილეობას იღებენ მინისტრები ულმანისი, ბეეროვიჩი და სხვები. ამაზე აშკარად სწერენ ლატვიის გაზეთები და ამის შესახებ შეკითხვაც კია შეტანილი ლატვიის დამფუძნებელ კრებაში.

და ჩვენ დარწმუნებულნი უნდა ვიყვეთ იმაში, რომ ყველა ეს ვაჟბატონები ბუკს და ნაღარას დასცხებენ იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობა არღვევს ყველასაგან ცნობილ საერთაშორისო უფლებებს და არ ასრულებს მის მიერ ხელმოწერილ საზავო პირობასო.

ბურჟუაზიულ დიპლომატიის ამ უპრინციპობას და შეიძლება ითქვას თავლითობას აქვს ბევრი მიზეზები, მაგრამ უმთავრესი ამ მიზეზთაგანი არის ის, რომ ეს ბურჟუაზიული რეჟიმი ღრმა მორალურ გახრწნას განიცდის და განწირულია, დაღუპვის გზაზეა შემდგარი. ჩვენ მხოლოდ მივუთითებთ ამ გახრწნაზე. კაპიტალისტური საზოგადოება იმ მდგომარეობამდის მივიდა, რომ მისი - თუნდაც რაიმე დენიმე ხნით გადარჩენა შეიძლება მხოლოდ ძალდატანებით და სხვა ხრიკებით. და ჩვენ გვაგონდება ის, რომ ტრიდენტის საეკლესიო კრილობაზე ერთ კაცს, რომელსაც სურდა რომის კურიის გაწმენდა, სწორათ უპასუხეს: „მხოლოდ ერთათ-ერთ ეშმაკს შეუძლია კათოლიკურ ეკლესიის ხსნა, თქვენ კი ანგელოზებს მოუხმობთო“.

ი. სტეკლოვი.

რო მეტი ზრდა, შემდეგ ციფრიდან სჩანს: 72 მილიონზე მეტი მამაკაცი და 32 მილიონი ქალი დასაქმებული არიან მრეწველობაში; სასოფლო მეურნეობაში სამნახევარი მილიონი მამაკაცი და 3 მილიონი ქალი არის დასაქმებული. სამთამადნო მრეწველობაში მუშაობს 200,000 მამაკაცი და ასი ათასი ქალი. საქსოვ მრეწველობაში 4 ნახ. მილიონი მამაკაცი და მილიონი დედაკაცი მუშაობს. 2 მილიონზე მეტი მამაკაცი და 250 ათასზე მეტი დედაკაცი ტრანსპორტზე მუშაობენ.

ვინძლო ეს გეებერთელა ლაშქარი მუშებისა მიზან შეწონილათ და ჯეროვანათ დაირაზმოს, იგი უუდიდესი ძალა გახდება მთელი ქვეყნის მუშათა მოძრაობაში.

ჩინეთში მუშათა მოძრაობა სწრაფათ იზრდება. ჩინელების კეთილ-განწყობილება რუსეთის საბჭოებისა და სოციალურ ეკონომიური პროგრამის მიმართ საუკეთესო საზომია ჩინეთის ხალხის რევოლიუციონურ აღტყინების. ჩინეთის მუშები თან-და-თან იგებენ პროფესიონალურ მოძრაობის სარგებლიანობას.

იაპონელთა კაპიტალისტებმა ომის დროს ომისვე საშუალებით უამრავი დოვლათი დააგროვეს. დღეს ისინი თავის ზედმეტებს სფეროს სხვა ქვეყნებზეც ავრცელებენ. მაგრამ იაპონელთა მუშების ცხოვრების პირობები ოდნავათაც არ გაუმჯობესებულა.

იაპონიის სტატისტიკური ცნობების თანახმად 1914 წელს მუშა-კაცის დღიური ხელფასი 34 ცენტს უდრიდა და დედა-კაცის კი—18 ცენტს. 1918—1919 წლებში მუშების ხელფასი 50 პროცენტ. გაიზარდა, მაგრამ ცხოვრება კი 327 პრ. გაძვირდა. ამგვარათ, თვით ცხოვრება უკარნახებს იაპონელ მუშებს ორგანიზაციულათ დაირაზმონ. მიუხედავათ მკაცრი წინააღმდეგობისა მთავრობის მხრივ უკანასკნელ წლებში რომ გაფიცვები ხდებოდა, იმდენი არასდროს არ მომხდარა მანამდის. მუშები ცდილობენ შემოიღონ 8 საათის სამუშაო დღე, ჯამაგირის თავის დროზე დარიგების დაწესება და დაზღვევის კანონი.

„რუსეთის რევოლიუციამ ღრმა კვალი გაავლო იაპონიის, ჩინეთის და ინდოეთის მუშების ცხოვრებაში. თავისი ქვეყნის მუშების მუქარამ იაპონიის მთავრობის ალღოს ახსნილ მადას ფრთა შეუკვეცა: იგი იძულებული შეიქნა აღმოსავლეთ ციმბირში მტაცებლურ ომებზე ხელი აელო და გამომშვიდობებოდა ამ მხარის ბუნებრივ სიმდიდრეს“.

**ქვა-ნახშირის უქონლობა საფრანგეთში.**

**მოსკოვი**, 5 ნოემბერი. საფრანგეთის რკინის გზებისათვის სათადარიგო ნახშირი, რომელიც 1913 წელს 1 ნახ. მილიონ ტონს უდრიდა; ამ ჟამათ 170 ათას ტონს ძლივს უდრის. მასთან ახლა საფრანგეთს შემოერთებული აქვს ელზას-ლოტარინგია, რომლის რკინის გზებისთვის საჭიროა 65 ათასი ტონი ნახშირი. ამ გვარათ საფრანგეთის სათადარიგო ნახშირი მხოლოდ 23 დღის საყოფია.

ომამდის პარიჟის ქარხნებში სექტემბერში 30,000 ტონი ქვა ნახშირი იყო, ახლა—კი სექტემბერში იყო სულ 160 ათასი ტონი, ე. ი. ორი კვირის საყოფი.

მდგომარეობა იმით უფრო მწვავდება, რომ მთელი ნახშირი მრეწველთა ფირმების ხელშია. საფრანგეთის სასოფლო მეურნეობისათვის პურის დასაფქვავათ საჭიროა 480,000 ტონი ნახშირი. ამ საქმისთვის ახლა მხოლოდ 245,000 ტონი ნახშირი შეიძლება მოიპოვონ, საარის ოლქში ახლა 4,400,000 ტონი ნახშირს ამუშავებენ, ომამდის—კი 65 მილიონ ტონს აგროვებდენ. ამჟამათ მოთხოვნილება უფრო მეტია, ვიდრე ომამდის იყო და ფასებიც იმდენათ ძვირია, რომ მოთხოვნილება თავის თავად შემცირდა.

**გერმანელი მონარქისტები**

**ნაუენი**, 20 ნოემ. დამოუკიდებელ სოციალისტების გაზეთი „ფრაიჰაიტი“ აქვეყნებს ბავარიის ყოფილ პრინცის რუპრეხტის წერილს. გაზეთი სწერს, რომ ბავარიის კონტრ-რევოლიუციონერებსა და პრინცის შორის არსებობდა მუდმივი კავშირი და რომ კრონ-პრინცი თავის ბიძის-შვილს რუპრეხტს სწერს, რომ ის მალე დაიკავებს ბავარიის ტახტს.

**პოლონეთსა და დანციგ შორის დადებული ხელშეკრულება**

**ლიონი**, 20 ნოემ. ხუთშაბათს პადერევსკიმ ხელი მოაწერა პოლონეთსა და თავისუფალ ქალაქ დანციგს შორის დადებულ ხელშეკრულების ტექსტს.

**ინგლისთან სავაჭრო დამოკიდებულება.**

**ლონდონ**, 20 ნოემბერი. ინგლისის პრემიერმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ მუშავდება სავაჭრო ხელშეკრულების ახალი პროექტი ინგლისსა და რუსეთს შორის. პროექტი ამ დღეებში წარედგინება თემთა პალატასო.

**ვრანგელის შავი რაზმების ნაშთები სტამბოლში.**

**ლონდონი**, 20 ნოემბერი. სტამბოლში მოვიდა 50 ათასი კაცი ყირიმიდან გადმოხვეწილები. ქალაქში ბინების უქონლობის გამო გადმოხვეწილები ჯერ კიდევ გემებზე იმყოფებიან. იმედი აქვთ, რომ მათ მოათავსებენ კუნძულ ლემნოსზე. ელიან სულ 100 ათას გადმოხვეწილის მოსვლას. მათი უმეტესი ნაწილი გაგზავნილი იქნება ალჟირში.

**საფრანგეთის ბურჟუაზიულ პრესის აზრი საბერძნეთის შესახებ.**

**ლიონი**, 20 ნოემბ. გაზ. „ექსცელსიორი“ აქვეყნებს დენისის, კოშენის და ჟონერის განცხადებებს. ესენი, ომის დროს იყვნენ საბერძნეთში განსაკუთრებული დავალებებით. კოშენმა განაცხადა, რომ მფარველ სახელმწიფოთ უფლებაც აქვთ და ვალდებულიც არიან, რომ ნება არ მისცენ გაძლიერებულ საბერძნეთს გერმანიის მონათ გადიქცეს. ჟონარმა განაცხადა, რომ ყოფილი მეფე კონსტანტინე არა მარტო არა სასურველია, არამედ ის მიუღებელიც არის მოკავშირეთათვისაცო.

**საფრანგეთის მაღაროს მომუშავეთა მოძრაობა.**

**ლიონი**, 20 ნოემ. ხუთშაბათს საზოგადოებრივ სამუშაოს სამინისტროს შენობაში მოხდა თათბირი მაღაროს მუშათა წარმომადგენლებსა და მაღაროს მეპატრონეთა შორის. მინისტრებმა მოისმინეს მუშათა დელეგატების განცხადება დღიურ ხელფასის გამომსინჯავ კომისიის არჩევის შესახებ. მინისტრებმა თავის მხრივ განაცხადეს, რომ ისინი ყოველთვის თანახმა იყვენ ასეთ კომისრების არჩევის სამთამადნო წარმოების ყველა დარგებში.

# ბიულეტენი პრესბიუროსი

## რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

**(რადიოთი მოსკოვიდან, ნაუენიდან, ლიონიდან და სხვ. და პირდაპირი მავთულით კავკავიდან და ბაქოდან).**

## საზღვარ-გარეთ

**სტამბოლის პრესა ანგორაში უთანხმოებაზე**

**სტამბოლი**, 6 ნოემ. სტამბოლის გაზეთებში არის ცნობები, რომ ანგორიში უთანხმოება ჩამოვარდა მომავალ მოლაპარაკების გამო ანგორასა და სტამბოლის მთავრობის შუა. გაზეთი „ბოსფორი“ შემდეგს სწერს:

„ჩვენ მივიღეთ ცნობები, რომ ქემალისტებს შორის ჩამოვარდა განხეთქილება თევფიკ-ფაშის მთავრობის შედგენის გამო.

პირველნი მოითხოვენ რათა არავითარი მოლაპარაკება არ აწარმოვონ ცენტრალურ მთავრობასთან, მეორენი კი ლაპარაკობენ: „ჩვენ მოვითხოვდით ფერიდ ფაშის კაბინეტის გადადგომას და ვლაპარაკობდით, რომ მივიღებთ იმ მთავრობას, რომელიც მის ადგილს დაიკავებს. დღეს ხომ კაბინეტი შედგება ისეთ პირებისაგან, როგორც არის თევფიკ-ფაშა, იზზეტი და სალიხ-ფაშა. ამ პირებთან მოლაპარაკების უარყოფა ქვეყნის ღალატი იქნება.

ამ კითხვამ დიდი კამათი გამოიწვია და შედეგებს მალე გავიგებთ“.

ამ კითხვის შესახებ ალი-ქემალ-ბეი გაზეთ „პეიამ საბაჰ“-ში სწერს:

„თუ უკანასკნელი ცნობები მართალია, მაშინ ანგორაში მართლაც მომხდარა განხეთქილება; ერთნი მომხრენი არიან ცენტრალურ მთავრობასთან შეთანხმებისა, ხოლო მეორენი კი ამას წინ აღუდგენ და არ უნდათ არავითარი მოლაპარაკება სტამბოლთან. მაშ ანგორაში ორი მიმდინარეობაა, ერთი ზომიერი, მეორე კი უკიდურესი და, რა თქმა უნდა, უკანასკნელი უფრო ძლიერია. მაგრამ თუ ზომიერები შეუთანხმდებიან ცენტრს, ეს დიდ შედეგებს გამოიღებს.

როგორც ჩვენ ამაზე ბევრჯერ ვლაპარაკობდით, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ანატოლიელები აღიარებენ, რომ საზავო ხელშეკრულება ერთად-ერთი ხსნაა ქვეყნის, მაშინ ქემალი, ალი-ფუადი და სხვა ბანდიტები არ შეწირავენ თავიანთ ძალაუფლებას და არ დაემორჩილებიან ცენტრალურ მთავრობას, რომელიც მოკავშირეების კონტროლ ქვეშ იმყოფება.

**მოლაპარაკება ანატოლიასთან.**

**სტამბოლი**, 6 ნოემ. სტამბოლის გაზეთები ათავსებენ ცნობებს ანატოლიასთან მოლაპარაკების შესახებ. ოსმალური გაზეთი „სერბესტი“—ამის გამო სწერს, რომ პოლკოვნიკი შევქეთ ბეი გაგზავნილია მცირე აზიაში, როგორც მთავრობის წარმომადგენელი.

გაზეთები „აქშამ“-ი და „თერჯუმანი“ იტყობინება:

„რამდენიმე დღეა დადის ხმები, რომ მთავრობამ მიიღო ზომები ანატოლიასთან მოლაპარაკების დასაწყებათ. ყველა ეს ხმები მოკლებულია სიმართლეს. თუ მოლაპარაკება დაწყებული იყო, გაზეთებში უკვე იქნებოდა ამის შესახებ ოფიციალური ცნობები.“

ამის გამო გაზეთი „ბოსფორი“ სწერს:

„ახლა მხოლოდ იმას აკეთებენ, რაზედაც სწერენ, ნაციონალისტებთან მოლაპარაკების შესახებ. პრინციპიალურად ეს მიიღო მართებულმა წრეებმა ახალ კაბინეტის შედგენამდისაც, მაგრამ ახალი კაბინეტი თავის დეკლარაციაში აცხადებს, რომ მას არ შეუძლია დაუშვას ერთ სახელმწიფოში ორი მთავრობა, რომელიც ყოფს სტამბოლს ანატოლიისაგან. დრო უკვე გადის და მთავრობას არავითარი ზომები არ მიუღია ამისათვის. იყო ხმები, ვითომ ნაციონალისტების დელეგატები მოვიდენ სტამბოლში მთავრობასთან მოსალაპარაკებლათ, მაგრამ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეს ხმები ტყუილია. ნაციონალისტებს დემად-ფაშის კაბინეტის დროსაც ყავდათ აგენტები სტამბოლში, რომლებიც ავრცელებდენ ხმებს.

თევფიკ-ფაშას კაბინეტმაც, რომ გაეგო ნაციონალისტების ნამდვილი სურვილის კვეთება, მიმართა ასეთ ზომებს და ჩვენ ვიცით სარწმუნო წყაროებიდან, რომ მან გააგზავნა დელეგატი კიებელში, რათა ის ჩავიდეს რომეფრად ანგორაში. ეს დელეგატი არ არის ოფიციალური, მაგრამ იმის ცნობები საშუალებას მისცემს მთავრობას გაიგოს ქემალისტების განწყობილება. და მხოლოდ მაშინ შეიძლება იმის გაგება, შეიძლება თუ არა მისიის გაგზავნა ანგორაში ნაციონალისტებთან მოსალაპარაკებლათ.

საუბედუროთ ნაციონალისტები პირველ რიგზე აყენებენ სევრის ხელშეკრულებას; ამ შემთხვევაში მთავრობას არას გზით არ შეუძლია შეუთანხმდეს ნაციონალისტებს. და ჩვენ ვშიშობთ, რომ მოლაპარაკება შეწყდება მანამდის, სანამ დაიწყებოდეს“.

**ნაციონალისტების ბანაკში.**

**სტამბოლი**, 5 ნოემბერი. გაზ. „ბოსფორი“ სწერს:

პირმა, რომელმაც ამ დღეებში მოვიდა ანატოლიიდან შემდეგი უამბო ერთ ჩვენ თანამშრომელს:

„ცენტრალურ მთავრობასთან შედარებით სამოქალაქო ადმინისტრაცია უკეთესადაა დაყენებული ანატოლიაში.

ყოველი მაზრა გადაქცეულია ასანჯაყათ, რომელსაც მართავს დივიზიის უფროსი. მას აქვს დიდი უფლებები. ვილაიეტების ადმინისტრატიული სისტემა გაუქმებულია. ანგორის მთავრობა დიდი ენერგიით შეუდგა გზა-ტკეცილების და რკინის გზების შეკეთება-გაყვანას. ყველა მუსულმანებზე გამოცხადებულია სავალდებულო შრომა. ქემალისტებმა შეაკეთეს გზა სამსუნსა და ანგორას შორის, რომელზედაც ნორმალური მოძრაობა სწარმოებს, აგრეთვე—ანგორას და აზრუმს შუა. იმათ განზრახული აქვთ გაიყვანონ რკინის გზის ხაზი კონია-ანგორა-ადანას შუაც“.

**ვრანგელის დამარცხების შესახებ.**

**მოსკოვი**, 20 ნოემბ. გუშინ ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობამ სურვილი გამოსთქვა განახორციელოს რუსეთთან ივლისში მომხდარი შეთანხმება და დაიწყოს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობა; გამოსთქვა სურვილი, რომ შეთანხმების ტექსტი წარედგინება საბჭოთა მთავრობას ამ უკანასკნელ დღეებში.

**ინგლისის მინისტრები იჩქარიან.**

**მოსკოვი**, 20 ნოემ. ინგლისის კაბინეთის სხდომები, რომლებიც გაარჩევს რუსეთ-ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულებას, ყოველ დღე გაიმართება, ვიდრე ეს საკითხი სავსებით არ გადაიჭრება. ინგლისის მინისტრები: კერზონი, ჩემბერლენი, ლონგი და ჩერჩილი წინააღმდეგნი არიან საბჭოთა რუსეთთან შეთანხმების და გადადგომით იმუქრებიან.

**შვედელ კომუნისტების ძმური დახმარება.**

**მოსკოვი**, 20 ნოემ. კომუნისტების მიტინგზე სტოკჰოლმში რუსეთის რევოლიუციის სამი წლის თავზე, დადგენილია მოაგროვენ სახსრები რუსეთის ბავშვებისათვის. არის იმედები, რომ პირველი მატარებელი ამ საგნებით დატვირთული გაემგზავრება რუსეთისაკენ დეკემბერში.

**ანარქიის წინ.**

**მოსკოვი**, 5 ნოემბერი. „ტაიმსი“ ამერიკის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ შემდეგს სწერს:

„ომის შედეგები ძალუმათ ძრავენ ამერიკას. მრეწველობა ვერ დგება ისეთ ბაგეში, როგორშიაც ომამდის იყო. ნახშირის სიმცირე თუ უქონლობა, მანქანების გაფუჭება, რკინის გზების და ტრანსპორტის დაცემა, ხშირი გაფიცვები—ქმნიან სიძვირეს, რომელიც სულ საარაკოთ იზრდება და რომელთან ბრძოლაში მთავრობა უძლურია“. „ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ ამერიკის ეკონომიური მდგომარეობა ანარქიულ მდგომარეობასთან არის მიახლოვებულიო“.

**სამხედრო ტერორი ირლანდიაში.**

**მოსკოვი**, 5 ნოემბერი. ირლანდიაში ინგლისის მთავრობის პოლიტიკის გამო გაზ. „ტაიმსი“ სწერს:

„ჩვენ მთავრობა გვარწმუნებს, რომ ირლანდიაში იგი გაწრთვნილ ჯარებს კანონიერების და წესიერების დასაცავად აჩერებსო; მაგრამ ამგვარი კონტრ-ტერორით იგი ყოველ გვარ წესიერებას არღვევს. ინგლისის მთავრობას ირლანდიისათვის ომი ხომ არ გამოუცხადებია? მაშ რას ნიშნავს ეს რეპრესიები, თუ არა ომს, და მასთან გაიძვერულ სახელის გამტეხ ომს? გაზეთს მინისტრის ლორდ გრეის ავტორიტეტული აზრები მოჰყავს ერთ ერთ მის ღია წერილიდან, რომელშიაც გრეი ამბობს, რომ არასდროს ინგლისის მთავრობა არ იჩენდა ასეთ სიფლიდეს, როგორსაც იჩენს დღეს თავის მოქმედებით ირლანდიაში. წერილში აღნიშნულია, რომ ინგლისის მთავრობა თავის ბარბაროსული ტერორით ირლანდიაში მთელი ქვეყნის აღშფოთებას იწვევს. მთავრობა დიდს მერყეობას და ნების სისუსტეს იჩენს.

**მუშათა მოძრაობა აღმოსავლეთში.**

**მოსკოვი**, 5 ნოემბერი. ამ სათაურით „ნიუიორკ კოლლ“-ში შემდეგი წერილი დაიბეჭდა:

„აღმოსავლეთში მუშათა მოძრაობამ გაძლიერება იწყო, უმეტესათ ეკონომიური ხასიათის მიზეზებისა გამო. უკანასკნელ ხანებში მრავალი ახალი ტრედ-იუნიონი მოეწყო. 1920 წლის პირველ ნახევარში ორასამდე გაფიცვა მოხდა, რომელშიც $1\frac{1}{2}$ მილიონ მუშამ მიიღო მონაწილეობა. მოსალოდნელია, რომ მომავალში მუშათა მოძრაობის კიდევ უფ-

# საბჭოთა რუსეთში

**დამზადება**

**მოსკოვი**, 5 ნოემ. ყაზანში 2 ოქტომბრამდის დააგროვეს 3 მილიონი ფუთი პური.

გომელის გუბერნიაში 3 ოქტომბრამდის, დაგროვილია მილიონ ფუთზე მეტი კარტოფილი.

**სუროგატიულ საპონის დამზადება**

**მოსკოვი**, 5 ნოემბ. იმ ცნობების თანახმათ, რომელიც მიიღო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა მაგარ საპონის ნავთის შერევით ხარშვის ცდამ მიიღო დადებითი შედეგები. დონის როსტოვში ამუშავდა ქარხანა სუროგატიულ საპნის დასამზადებლად.

**კონკურსი პარიზის კომუნის აღსანიშნავათ პიესებზე**

**მოსკოვი**, 5 ნოემ. ვინაიდან 1921 წ. 18 მარტს სრულდება 50 წელი პარიზის კომუნის დაარსებისა, სახალხო განათლების კომისარიატის თეატრალურმა განყოფილებამ გამოაცხადა პიესებზე კონკურსი, რომლის შინაარსი იქნება ამოღებული პარიზის კომუნის ისტორიიდან.

სამი პიესა, რომელიც მოეწონება კომისიას, დაჯილდოვებული იქნება—პირველი 150.000 მ.—მეორე—70.000 მ. მესამე—30.000 მ.

**დახმარება ფრონტს.**

**მოსკოვი**, 20 ნოემბ. ნიჟნი-ნოვგოროდში ფრონტის დახმარების კვირაში შეკრეს 1300 მაზარა, 1240 ცალი მაუდის ტანისამოსი და 4,000 ცალი საცვლები, აგრეთვე ბევრი ჩაბალახი და სხვა.

**საგარეო ვაჭრობა.**

**მოსკოვი**, 20 ნოემბ. ნახევარ წელზე მეტი გადის რაც საზღვარ გარეთიდან ფაქტიურათ შემოდის საქონელი ჩვენში. ამ ნახევარმა წელმა გვაჩვენა, რომ ყველა კაპიტალისტური ქვეყნები აგრძელებენ საბოტაჟის გამოცხადებას ჩვენ საგარეო ვაჭრობაზე. იმ ქვეყნებიდან, რომლებისაგან ჩვენ შეგვიძლია დღეს მივიღოთ საქონელი, არიან სკანდინავიის სახელმწიფოები, გერმანია და იტალია. იტალიასთან ვაჭრობა ჩვენ ვერ გავაფართოვეთ იმისათვის, რომ იტალიის მთავრობაც ხელს გვიშლიდა და ინგლი-

სიც ჩვეოია ამ სხჭმეში, რომლის სამხედრო გემებმა დაატყვევა იტალიის გემი, რომელსაც მოქონდა საქონელი რუსეთისათვის ჩვენი ვაჭრობის ნახევარ წლის განმავლობაში, ჩვენ შევძელით შეგვეძინა ყველაზე მეტი აუცილებელი საგნები რესპუბლიკის საჭიროებისათვის პირველ რიგში დგას იტალიის ლატონის შემოტანა, რომელიც 18 აპრილიდან 31 ოქტომბრამდის შემოვიტანეთ 489 ნახ. ათასი ფუთი. ქაღალდი შემოვიტანეთ 36,000 ფუთი, ტყავი და ფეხსაცმელები 74 ნახ. ათასი ფუთი. ხიმიკურ ნაწარმოებიდან ჩვენ მივიღეთ მედიკამენტები 86,900 ფუთი.

**ციმბირის ქვანახშირი.**

მოსკოვი, 20 ნოემბერი. ციმბირში ეხლა ყველა დარგებში გაცხარებული მუშაობა სწარმოებს. წლიურად ციმბირში საერთო რიცხვით მზადდება 70 მილიონი ფუთი ქვანახშირი. ციმბირში სათადარიგოთ შემონახული ქვანახშირი გაცილებით მეტია, ვიდრე დონის ქვანახშირის ოლქში შემონახული ქვანახშირი.

**საზღვარ გარეთელები საბჭოთა რუსეთის შესახებ**

მოსკოვი, 20 ნოემბ. საზღვარ გარეთიდან ჩვენამდის მოვიდა სამი გამოხმაურება საბჭოთა რუსეთის შესახებ. პირველი იყო ბერლინის მრეწ. კავშირების დელეგაციის, რომელსაც ის რუსეთიდან დაბრუნდა გერმანიაში. გერმანიის დედა ქალაქის პროფ. კავშირების მეთაურები ამოწმებენ იმ გამარჯვებას, რომელსაც მიაღწიეს რუსეთში მუშებმა და გლეხებმა მეურნეობის დარგში, სამხედრო საქმეებში და განათლების დარგში. მეორე ეკუთვნის ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მრეწველების და ფინანსისტების წარმომადგენელს ვანდერლინს, რომელიც უთითებს იქეთკენ, რომ საბჭოთა მთავრობა ყველაზე უფრო ძველი და მტკიცე მთავრობაა ევროპის სახელმწიფოებზე შედარებით. საბჭოთა რუსეთი იმდენათ მტკიცეა, რომ მის დამარცხებას ვერ შესძლებენ ყველა სახელმწიფოები ერთად. მეურნეობის დარგში, ვანდერლინის სიტყვით, დიდ გამარჯვებას მიაღწია საბჭოთა რუსეთმა.

მესამე გამოხმაურება ეკუთვნის ინგლისის ცნობილ მწერალს უელსს, რომელიც დიდი აღფრთოვანებით გვიხატავს მუშურ გლეხურ რუსეთის ბრძოლას სოციალიზმისათვის.

ამგვარად საბჭოთა რუსეთს გამოეხმაურა დასავლეთის ყველა კლასების წარმომადგენელნი, მუშების წარმომადგენლების, ამერიკის მრეწველების და ინგლისის ინტელიგენციისა. მათი შეხედულება-შთაბეჭდილებანი საბჭოთა რუსეთის აღორძინების შესახებ ერთმანეთს ეთანხმებიან.

# რევოლუციის ფრონტებზე

## ოპერატიული რადიო-ცნობა რესპუბლიკის საველე შტაბის რევოენსოვეტისა 19 ნოემ. 1920 წ.

## სამხ. დასავლეთ. ფრონტი.

მოზირის და რეჩიის რაიონებში ბრძოლები ჩვენს სასარგებლოთ, მიმდინარეობს: წამოვიყვანეთ ტყვეები და ხელთ ვიგდეთ დიელა.

კოროსტენ—მოზირის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა ხელმეორეთ აიღეს სად. ხლოვეჩნო, და გადალახეს მდ. სლოვეჩნო ოვრუჩის ჩრდილოეთ—დასავლეთით, ჩვენი შეტევა წარმატებით მიმდინარეობს.

პროსკუროვის მიმართულებით დერაჟნის რაიონში ბრძოლებია. დასავლეთით ჩვენმა ნაწილებმა დაამარცხეს მტერი, დაიკავეს პროსკუროვის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთით 12—25 ვერსის მანძილზე ახალი პუნქტები. ჩვენი ცხენოსნები და ქვეითა ჯარი შეიჭრა ქ. პროსკუროვში და აწარმოებს იქ ცხარე ბრძოლებს. პროსკუროვის აღმოსავლეთით ბრძოლებში ჩვენმა ძლევამოსილმა წითელმა ჯარმა მტრის კავკასიის პოლკის ნაწილი ამოწყვიტეს, ნაწილი კი ტყვეთ წამოიყვანეს.

## ყირიმის ფრონტი

დამატებითი ცნობების თანახმად ქალაქ კერჩში ჩავიგდეთ ხელთ 13 ათასი ჯარის კაცი, 9 ათასი ცხენი, ჯავშნოსანი დივიზია, 15 ჯავშნიან მატარებლებით, 14 საბარგო და 18 სამგზავრო ავტომობილები, აურაცხელი ზარბაზნები და ტყვიის მფრქვეველები. ნავთსადგურში დავატყვევეთ ოთხი ხომალდი.

რესპუბლიკის საველე შტაბის რევოენსოვეტის ვაენკომის მაგიერ კლიმ.

**პეტლიურას გაქცევა**

მოსკოვი, 20 ნოემ. პოლონეთის სამხედრო სარდლობა იტყობინება პეტლიურის არმიის განადგურებას. ჩვენი ჯარები შევიდენ პროსკუროვში და ანადგურებენ დამარცხებულ მტერს. არის ცნობები, რომ ვრანგელსავით პეტლიურამაც მიატოვა თავისი განადგურებული ჯარი.

**სპარსულ აზერბაიჯანში.**

ბაქო, 10 ნოემბ. სპარსულ აზერბაიჯანში, დელმანის და კალიბირის რაიონებში პარტიზანული რაზმები ისმაილ სიმბირკოვის და ხუჯა-ნიზამის ებრძვიან შაჰის ჯარებს და ყაზახებს. ეს პარტიზანები ცნობილნი არიან თავრიზში როგორც ძველი რევოლიუციონერები და ამისათვის სარგებლობენ ავტორიტეტით. პარტიზანების რიცხვი აღწევს 3 ათას ნახევრამდის. თავრიზის დემოკრატია დიდათ თანაუგრძნობს პარტიზანებს და აძლევს მას ყოველგვარ დახმარებას.

**მესამე ინტერნაციონალისაკენ.**

რეჯიო, 15 ოქტ. ფეიქრების კონგრესმა ტურინში ბიანკის რეფერატის და ბალშევიკ ორატორების სიტყვის შემდეგ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც სასტიკად გმობს ბურჟუაზიასთან თანამშრომლობას, მოითხოვს ფაბრიკების ნაციონალიზაციას და ემხრობა მესამე ინტერნაციონალს და მასთან მჭიდრო კავშირის დაჭერას მოითხოვს.

**მუშათა მოძრაობა იტალიაში.**

მოსკოვი, 20 ნოემბ. მთელ იტალიაში ემზადებიან კომუნისტების მომავალ ყრილობისათვის, რომელიც დანიშნულია 28 ნოემბერს. აგრეთვე ამზადებენ ფრონტს. კავშირთა კომუნისტურ ყრილობას. იტალიის 1700 მუშამ—რადგან კონფლიქტი მოუხდა ადმინისტრაციასთან, ჩაიგდო ხელთ რკინის გზა ფლორენცია—ბოლონის შუა.

**სამხრეთ ფრონტის გმირ-მებრძოლებს.**

მოსკოვი, 20 ნოემბ. კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ზინოვიევმა კომუნისტურ ინტერნაციონალის სახელით ძმური მისალმების დეპეშა გაუგზავნა სამხრეთ ფრონტის ყველა წითელ არმიებს, რომელთაც გაანთავისუფლეს ყირიმი: „კომუნისტურ ინტერნაციონალმა კარგათ იცის თუ როგორი მსხვერპლი გაიღო მუშურ-გლეხურმა ჯარებმა პერეკოპთან და სამხრეთის სხვა ფრონტებზე. კომუნისტური ინტერნაციონალი მოუთხრობს მთელი ქვეყნის მშრომელებს იმ სასწაულებრივ გმირობაზე, როგორ გმირულ ბრძოლას აწარმოებდა წითელი არმია ფრონტებზე. სამხრეთ ფრონტის მეომრები იბრძოდენ არა მარტო საბჭოთა რუსეთისათვის და საბჭოთა უკრაინისათვის, არამედ მთელი კომუნისტური ინტერნაციონალისათვის. ჩვენი გამარჯვება—ეს საერთაშორისო მუშათა კლასის და საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვებაა“. სამარადისო ხსოვნა ბრძოლის ველზე დაცემულებს და დიდება და სახელი ცოცხალ მებრძოლებს.

**ულტიმატუმი.**

ეროვნულ ყრილობის გერმანულ წევრებს განზრახვა აქვთ წარუდგინონ მთავრობას ულტიმატურ ხასიათის მოთხოვნილება, დაუბრუნონ მათი გენერლებს საკუთრება. წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანელები ჩეხო-სლოვაკიას მცარმველთა ქვეყანათ ჩასთვლიან. გაზეთები აღნიშნავს ჩეხო-სლოვაკიაში არსებულ უკანონობას და მოუწოდებენ ერთა ლიგას მიაქციონ ამას ყურადღება. (გ. ც.).

**დამოუკიდებლების და ახალ კომუნისტების შეერთება.**

ჩრდილოეთ დასავლეთის უკიდურესმა და ახალმა კომუნისტებმა გამართ. ყრილობაზე შეერთება გადასწყვიტეს. (გ. ც.).

**ინგლისი და რუსეთი.**

თემთა პალატაში ინგლისის პრემიერმა განაცხადა: მუშავდება რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების განახლების ახალი პროექტი. მას იმედი აქვს, რომ ამ პროექტს მოკლე ხანში ჩააბარებენ მოსკოვის მთავრობის წარმომადგენელსო. (ლ. ც.)

**პარიზ-ლონდონი და საბერძნეთი.**

პარიზში 18. პარიზსა და ლონდონს შორის დაიწყო მოლაპარაკება იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიქნა ვენიზელოსის მომხრეების დამარცხების შემდეგ. ხუთშაბათს ინგლისის ელჩმა ლორდ დერბიმ ინახულა ჟორჟ ლეიგი (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე) როგორც სჩანს ორივე სახელმწიფოს სურს ერთად იმოქმედოს (გამოტოვებულია). პარიზსა და ლონდონში გადაწყვეტილია წინააღმდეგობა გაუწიონ საბერძნეთის ტახტზე კონსტანტინეს ასვლას. პრინც გიორგის დანიშნვასაც წინააღმდეგობა შეხვდება. ყოველ შემთხვევაში მას მოსთხოვენ საბერძნეთის პოლიტიკურ ორიენტაციის გარანტიას.

„ექსცელზიორი“-ს მოჰყავს დენის, კოშენის და ქონარის განცხადება: ორივე ისინი იყვენ ომის დროს საბერძნეთში როგორც ოფიციალური პირნი: „მე ვფიქრობ, სთქვა კოშენმა, რომ მფარველ სახელმწიფოებს აქვს უფლება და მათი მოვალეობაც არის არ დაუშვან, რომ საბერძნეთი უფრო ძლიერი, ოდესმე იყო, შეიქნეს გერმანიის ვასალად. რაც შეეხება ქონარს, მისი აზრით, ექს-მეფის დაბრუნება არამც თუ სურს მოკავშირეებს, არამედ ეს ვერც კი წარმოუდგენიათ.

**მიმდინარე მომენტი და პარტიის მიზნები**

მოსკოვი, 19 ნოემ. „პრავდას“ მოწინავე სწერს: ვრანგელის სრული განადგურება და პეტლიურას მთელი რიგი დამარცხება, შრომის ფრონტზე გადასვლის საშვალებას გვაძლევს. ეს კიდევ არ ნიშნავს ჩვენი მდგომარეობის შემსუბუქებას. პირიქით, გადატეხამ მოგვისწრო სრულ გალატაკების, ხალხის თალილობის და მოუსავლობის დროს, რამაც ჩვენი ენერგიის და ძალღვების დაჭიმვა უნდა გააძლიეროს. გამარჯვებასთან ერთად დაიბადა სურვილი დასვენებისა და დისციპლინის დასუსტებისა. ვინაიდან ეს დიდ საშიშროებას წარმოადგენს ჩვენი პარტიისათვის და საბჭოთა რუსეთისათვის, ამიტომ ახლა საჭიროა პარტიის მწკრივების მეტი დარაზმვა. მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიბადება შესაძლებლობა სამეურნეო აპარატის გადახალისებისა, მხოლოდ პარტიის ნების მთლიანობა მოგვცემს საშვალებას გამოვიდეთ გამარჯვებულნი იმ მიზნებიდან, რომელსაც ჩვენ ვისახავთ. ჩვენ დასუსტებას ყურადღებას აქცევენს ჩვენი მტრები, ევროპის პრესაში უკვე გავრცელდა ყალბი რადიო, რომელშიაც ბუდიონის ღალატს და ზინოვიევის დიდ წერილების არსებობას იტყობინებიან. ამ ცნობებს შეცდომაში შეჰყავს ჩვენი ამხანაგები დასავლეთში. რომ ვსძლიოთ ავათმყოფობა საჭიროა ორი მხრით გავაძლიეროთ მუშაობა. ერთი მხრით პარტიაში უნდა მოვსპოთ ბიუროკრატიული წესები და მეორე მხრით ანტი-კომუნისტურ მიმდინარეობას დიდი წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ. ამ ჟამად პარტიაში ჩაწერილია დიდძალი ახალი წევრები, რომლებიც მართალია როგორც მუშები დიდ ღირებულებას წარმოადგენენ, მაგრამ პოლიტიკურად ვერ არიან კარგათ აღზრდილნი. საჭიროა ამ აღზრდის მიცემა. ეს უნდა გახდეს მიზანი დღევანდელი დღისა. (როსტ).

**ახალ ავანტიურას იწყებენ.**

ყოველ დღე ვრცელდება ხმები, რომ ზემო-სილეზიაში შევიდენ პოლონელე

# ს. დ. ს. დეპეშები

**კომუნისტების დევნა.**

ლონდონი, ცნობილ ქალს სილვია პანკჰერსტს, რომელიც ინგლისელ კომუნისტებს მიემხრო, გაზ. „მუშათა დრედნოუტში“ წერილის მოთავსებისათვის 6 თვით დაპატიმრება გადაუწყვიტეს. (ს. გ.)

**ჩეხო-სლოვაკების დემონსტრაცია.**

ჩეხო-სლოვაკების დემონსტრაციები გრძელდება. დემონსტრანტები ხელს უშლიან გერმანულ გაზეთების გამოსვლას და თეატრებში წარმოდგენების, გერმანულ ენაზე გამართვას. ბრბომ გაანადგურა 21.000 გერმანული წიგნი და დახურა გერმანული. სტუდენტების სამკითხველო. ექსცესები ებრაელების წინააღმდეგაც არის მიმართული. ჩეხო-სლოვაკელ ოფიცრებსა და მცხოვრებთა შორის შეტაკება ხდება. (გ. ც.)

# დღიური.

სამხრეთ დასავლეთის ფრონტზე წითელმა ჯარმა აიღო სლავეჩნო. წითელი ცხენოსნები შეიჭრენ ქ. პროსკუროვში, რომელიც უკვე აიღეს. პეტლიურა გაიქცა. ქერჩში წითლებმა ხელთ იგდეს 13 ათასი ტყვე, 9 ათასი ცხენი, 15 ბრონემანქანა, 14 საბარგო და 18 იოლი ავტომობილი, აუარებელი ტყვიისმფრქვეველები და ზარბაზნები, 4 გემი და სხვ.

იტალიის მუშებმა ხელთ იგდეს რკინის გზა ფლორენცია—ბოლონია.

ნორვეგიაში რკინის გზელთა საერთო გაფიცვა იწყება.

ბიო. გერმანიის მთავრობამ ცნობები მიიღო, რომ საზღვარზე პოლონეთის დიდი ძალები იყრის თავსო. ამიტომ გერმანიის მთავრობამ ლონდონში და პარიზში მყოფ თავის წარმომადგენლებს წინადადება მისცა, ეცნობოს ანტანტას პოლონეთის საქციელი, რომელიც გერმანიას ემუქრებაო. (როსტ.)

# საქართველოში

— კვირას, 21 ნოემბერს, დილის 10 საათზე, სახალხო სახლში (კირკის ქუჩა) დანიშნულია გაგრძელება ბეჭდვითი საქმის კავშირის წევრთა საზოგადო კრებისა. დღის წესრიგი: 1. გამგეობის არჩევნების შესახებ, 2. სარევიზიო კომისიის არჩევნები, 3. საბჭოს წარმომადგენლების არჩევნები, 4. შრომის ბირჟის შესახებ, 5. მიმდინარე კითხვები. აღნიშნულ კრებაზე თქვენი დასწრება სავალდებულოა, ვინაიდან დღის წესრიგში დასმულ კითხვების გადადება ყოვლად შეუძლებელია.

— რ. ს. ფ. ს. რ. საქართველოში სრულ-უფლებიან წარმომადგენლობასთან არსებული პრეს-ბიურო გადატანილია ახალ შენობაში: ველიამინოვის ქუჩა, სახ. № 12, ტელ. 1—57.

—ბათუმი პორტო-ფრანკოთ. სტამბოლის ცნობებით ბათუმი პორტო-ფრანკოთ დაწესდა (ე. ბ.)

— ნავთი ბაქოდან. ბაქოდან საქართველოში ნავთის გადმოსაზიდათ გამზადებულია 5 სამარშრუტო მატარებელი 50 ცისტერნით თვითეული. პირველი სამარშრუტო მატარებელი გავიდა 17 ოქტომბერს ორი ორთქმავალით, მეორე 18 და მესამე 19. კეროსინის გადმოქაჩვა ძეგამის სადგურიდან საქართველოს ტერიტორიაზე სალოგლის სადგურში განზრახულია 20 ნოემბერიდან.

— ფოილოს ხიდის შემოწმება, ნოემბრის 18 ს თფილისიდან გავიდა სატექნიკო კომისია ფოილოს ხიდის შესამოწმებლათ და მისაღებად.

— გენერალური შტაბი აცხადებს, რომ მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით მობილიზაცია გაგრძელებულია ნოემბრის 20-მდე. იმ პირთ კი, რომლებსაც ჰქონდათ მიცემული გამოცხადების ვადა ნოემბრის 20-მდე, ეს ვადა გაგრძელდეს ნოემბრის 25-მდე.

# მუშათა წერილები

## გვიშველეთ!

გვიშველეთ! აი რა დასკვნას გამოიტანს ამხანაგი მკითხველი ყველა იმ საპროტესტო წერილებით, რომლებიც მრავლად დაიბეჭდა გაზ. „ერთობა“-„ბორბა“-ში იმის გამო, რომ 14 ნოემბერს ბეჭდვითი საქმის კავშირის საზოგადო კრებაზე გაიმარჯვა კომუნისტების მიერ წარმოდგენილმა სიამ და სამარცხვინოდ დამარცხდა მენშევიკების სია.

და აი, ეს დამარცხება ვერ მოუნელებიათ ბ-ნთ მენშევიკებს და მათ სანჩოპანჩოებს, ე. ი. ამყოლ-დამყოლებს, და მოსთქვამენ: „ჩვენ შევცდით“, „გვეგონა, რომ № 2 არის თამაზაშვილის მიერ წარმოდგენილი სია, და მიტომ მივეცით მას ხმაო“.

ბ-ნო პროტესტანტებო! სად იყავით მაშინ, როცა კრების თავმჯდომარემ ხმა მაღლა განაცხადა სამივე ენაზე: „რადგანაც კომუნისტებთან ვერ მოხერხდა შეთანხმება, ამიტომ კენჭი უნდა ეყაროს ორ სიას: სიას № 1 მენშევიკების, სადაც ყველა მიმდინარეობას ჰყავს წარმომადგენელი გარდა კომუნისტებისა, და მეორე სიას № 2, წარმოდგენილი ვ. ბოლქვაძის მიერ, და რომელიც შესდგება მხოლოდ კომუნისტებისაგანო.

ასე, რომ, ეს განცხადება კრების თავმჯდომარემ, ბ. შრომის კომისარმა ისე ხმა-მაღლა, ისე გარკვეულად (რუსულ, ქართულ და სომხურ ენაზე) წარმოსთქვა, რომ ვისაც სმენის უნარი ჰქონდა და აზროვნების სატამალი, ყველა მიხვდებოდა, თუ რომელი №-რი რომელ პარტიას ეკუთვნოდა და რომლისათვის უნდა მიეცა ხმა.

არავინ არ უნდა დაეჭვდეს იმაში, რომ ყველამ იცოდა ვის აძლევდა ხმას.

გარდა ამისა, ერთი გვითხარით, ღვთის გულისთვის, როდის იყო, რომ მენშევიკები დღიდან თავიანთი „დამოუკიდებელი“ ცხოვრების სხვა №-რით გამოსულიყვენ წვრილ თუ მსხვილ, არჩევნებში, თუ არა № 1-ლით?

აბა გააჩერეთ ქუჩაში მოსამზადებელი კლასის მოწაფე და ჰკითხეთ: № 1-ლი არჩევნებში ვისია? მაშინვე მოგიგებს: მენშევიკებისო.

განა დასაჯერებელია, რომ პროტესტანტები ვერ გაერკვიენ 1 და 2 № №-ში?

ცრუობთ და თაღლითობთ თქვე უბადრუკნო! თქვენ ძალიან კარგათ იცოდით, თუ რომელი № ვის ეკუთვნოდა და თქვენი ხმაც შესაფერ ადგილას წავიდა.

თქვენი და თქვენი „ბელადების“ გაიძვერობა შემდეგიდან აშკარავდება: როდესაც გამოირკვა მენშევიკებისათვის, რომ კრების განწყობილება არ იყო მათთვის სასარგებლო, წინადადება შემოიტანეს, რომ არჩევნები მომხდარიყო აშკარა ხმის მიცემით, ესე იგი ლიით; ხოლოთ, როდესაც ამის წინააღმდეგ კომუნისტებმა გაილაშქრეს, მაშინ პროფესიონალური კავშირების ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენელმა ბ. ჩხენკელმა დასძინა, რომ თუ კრების ⅓ მომხრე იქნება, მხოლოთ მაშინ შეიძლება ხმის მიცემა აშკარა იყოსო.

რაღა უჭირს იმ ორგანოებს, სადაც ასეთი პირები სხედან და მუშების ინტერესებს იცავენ?!

ჩვენ კი ვიცით: ის, რომ: „საყოველთაო, პირდაპირი“ და სხვა არჩევნების უფლება, რომელსაც ყოველ გზა-ჯვარედინზე ფიცულობენ მენშევიკები, ამბობს: კრების ერთმა წევრმა რომ განაცხადოს, მიუხედავად კრების რიცხვისა, რომ კენჭის ყრა მოხდეს ფარული, ამ ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ქრის სურვილი კანონის ყველასათვის, და არჩევნები ხდება ფარული ხმის მიცემით.

14 ნოემბრის ბეჭდითი საქმის კავშირის საზოგადო კრების ხელმძღვანელებმა ეს კარგათ იცოდენ, მაგრამ მაინც გადასწყვიტეს ეს წესი, რადგან ამას თხოულობდა მათი პირადული ინტერესები.

ჯორდ „დემოკრატებო“ და დემოკრატიის ინტერესების „დამცველებო!“

მარა თქვენ სულ სხვა მუცლის გვრემა გქონდათ. თქვენ კარგათ იცოდით, რომ აშკარა კენჭის ყრის დროს თქვენი სიის № 1 წინააღმდეგ ვერავინ წავიდოდა, გარდა უმნიშვნელო უმცირესობისა, დანარჩენები შიშით თქვენ მოგცემდენ ხმას, და ამნაირად „ბრწყინვალეთ“ გაიმარჯვებდით, მარა თქვენ ხრიკს ამხანაგ მუშები მიხვდენ, და გადაწყვიტეს: „კენჭის ყრა ყოფილიყო ფარულად.

ლაპარაკი არ უნდა, პროტესტანტების მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნება და ბეჭდითი საქმის კავშირის კრება ხელ-ახლა შესდგება, და შესაძლებელია, ამ კრებაზე გაიმარჯვოს მენშევიკების სიამ, მარა ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეს „გამარჯვება“ იქნება არა იდეური, არამედ ტერორით.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენმა ამხანაგებმა ცდა არ უნდა დააკლონ, რომ პირველი ნომერი ხელ-მეორედ დამარცხდეს.

კოწო.

## შეცდომის გასწორება

(კვალ და კვალის ბოლოში)

„გუშინდელ ნომრის მეორე სვ. მე-27 სტრიქ. სწერია: „ვარამია გაბატონებულ კლასის ხელში“, უნდა იყოს: „იარაღია გაბატონებულ კლასის ხელში“.

წერილის ბოლოში სწერია: „რესპუბლიკანურ პროლეტარიატის ბელადები“ უნდა იყოს: „რევოლიუციონურ პროლეტარიატის ბელადები“.

# საქართველოს მუშა-ქალთა ფურცელი

№ 6 № 6

## ინგლისის მუშა-ქალების გამოსვლა საბჭოთა რუსეთის სასარგებლოთ

სამი წლის გაცხარებული ბრძოლის შემდეგ, მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ჩვენ ახლახან პირველად გვესმის ევროპის პროლეტარიატის აქტიური დახმარება. პოლონეთის პანების ვერაგულ თავდასხმისაგან, ევროპის პროლეტარიატი ცდილობდა ხელი შეეშალა თავის მთავრობისთვის პოლონეთის პანების დახმარებაზე. არა ერთხელ დაუკავებიათ ინგლისის და დანარჩენ ქვეყნის მუშებს იარაღები, რომლებიც ეგზავნებოდა პოლონეთს, მაგრამ; როდესაც ინგლისის მთავრობამ, საფრანგეთის შამოჩენით განიზრახა ჩვენს წარმომადგენლებთან ყოველგვარ მოლაპარაკების შეწყვეტა და რუსეთისადმი აშკარა ომის გამოცხადება, რომელიც ვითომდა პოლონეთის დამოუკიდებლობას ებრძოდა, მაშინ დიდი ხნის ლეთარგლი ინგლისის მუშებისა მთავრობის თვალთმაქცურ პოლიტიკას საბჭოთა რუსეთის მიმართ, ერთად გადმოლვარა როგორც ტალღა და დაიწყო მიტინგები, დემონსტრაციები და პროტესტები.

ყველა კრებებზე და მიტინგებზე გამოქონდათ რეზოლიუციები, რომელიც მოითხოვდა მთელი ძალღონით შებრძოლების მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც აწარმოებდა აშკარა თუ ფარულ ომს საბჭოთა რუსეთის წინაალმდეგ. „არც ერთი კაცი, არც ერთი კაპიკი, არც ერთი ტყვია“, განუცხადეს მუშებმა მთავრობას.

შექმნილ იქნა „მოქმედების კომიტეტი“, რომელიც აერთიანებს 7 მილიონ მუშას. კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება: იმ შემთხვევაში თუ მთავრობა დაიწყებს ომს საბჭოთა რუსეთის წინაალმდეგ, შეწყვიტონ მუშაობა მთელს ინგლისში. მაშინ ინგლისის მთავრობა და გენერლები, რომლებმაც წინათ საფრანგეთთან ერთად გამოიმუშავეს გეგმა, თუ როგორ შამოეპირებინათ საბჭოთა რუსეთისათვის რგოლი, ამ შემთხვევაში მუშებმა ნება არ მისცენ ახალი ავანტიურა მოეწყოთ, უკან მიაბრუნდენ და უთხრეს მთავრობას, რომ არავითარი საფრთხე არ მოელის პოლონეთს ბოლშევიზმისაგან.

მუშების გამარჯვება ამ შემთხვევაში დიადია და ყველა აღიარებს მას.

ამ გამარჯვებას ხელი შეუწყვეს ინგლისის მუშა ქალებმაც, რომლებიც ღებულობდენ აქტიურ მონაწილეობას ყოველ გამოსვლებში, და მუშა ქალების „შეერთებულმა კომიტეტმა“, რომელშიაც შედის მილიონამდის ქარხანა-ფაბრიკის მუშა-ქალები, მოითხოვა ყოველგვარი ომის შეწყვეტა რუსეთის წინაალმდეგ და სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა მასთან.

ამავე ქალების ორგანიზაციამ გამოუშვა მოწოდება ინგლისის ყველა ქალებისადმი, რომელშიაც ნათქვამია: „ახალი უბედურება მოევლინა მთელ ქვეყანას. მოკავშირეები ემუქრებიან საბჭოთა რუსეთს და მოკლე ხანში ჩვენ შეგვიძლია ამ ფაქტის წინ დავდგეთ. ჩვენ სასტიკ პროტესტს უცხადებთ მთავრობას ამის გამო. პოლონელები, რომლებიც პირველად დაეცენ რუსეთს, თუ უნდათ მიიღებენ ზავს. არ შეიძლება შევწიროთ ერთი კაცის სიცოცხლეც ამ ავანტიურას. ევროპა ნახევარათ გადაგვარების გზაზეა დამდგარი. მისი მთავრობები გაკოტრების კარებზეა მიმდგარი. ახალი ომი კიდევ უფრო გააუარესებს ჩვენს მდგომარეობას.

რუსეთთან ომი არ შეიძლება არ გადაიქცეს მსოფლიო ომათ, ის აიძულებს აჯანყებულ მუშებს ჩამოაგდონ თავიანთი მთავრობები. მუშა ქალებმაც არ უნდა დასტოვონ უყურადღებოთ ასეთი დიადი ამბები. ჩვენ შემდეგში არ შევწირავთ ჩვენს ქმრებს და ძმებს მტავრობის პატივმოყვარეობას. ჩვენ არ შეგვიძლია ავიტანოთ ისეთი პოლიტიკა, რომელიც სიმშილით ამოხოცვას უპირებს ჩვენს შვილებს. ჩვენ არ დავეხმარებით იმ სურვილს, რომელსაც უნდა წაართვას რუსეთის მუშებს თავისუფლება, რომელიც დიდი ფასათ უღირს მათ. ჩვენ მოვითხოვთ, რომ დაუყონებლივ იქმნას აღდგენილი ყოველგვარი დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთთან“.

**ამხ. მუშა-ქალებო! იცოდეთ, რომ მშრომელ ქალთა ფურცელი იარსებებს მხოლოთ თქვენი იდეიური დახმარებით.**

## მუშა-ქალთა პირველი საერთაშორისო კონფერენცია.

### მეორე სხდომა.

(დასასრული, იხ. „ახ. კომ.“ № 95).

### შვეცია.

ამხ. ლიუსტრემი ამბობს, რომ შვეციაში არის განსაკუთრებული ქალთა ორგანიზაცია. მისი მიზანია მოსპოს მუშა-ქალთა შორის, როგორც პოლიტიკურ ისე სოციალურ ურთიერთობაში, ყოველგვარი დაქვეითება. ის არავითარ ოპორტიუნისტული მიზნებით არ არის შეპყრობილი. ორგანიზაცია არსებითად მიილტვის ერთი მიზნისთვის, სახელდობრ შემარცხენე სოციალისტურ პარტიასთან წილად.

ორგანიზაცია აერთებს როგორც მოზრდილ მუშა ქალებს ისე მუშა-ქალთა ახალგაზრდობასაც. შვეციის ორგანიზაცია ხთხოვს საერთაშორისო კონფერენციას არ განსაზღვროს ქალთა ორგანიზაციები რაიმე საორგანიზაციო ერთეულით.

### ჰუნგრეთი.

ს.-დ. და ფემინისტურმა ქალთა მოძრაობამ მსოფლიო ომის დროს მიაღწია სრულ გაფურჩქვნას. მაგრამ ეს „ბრძოლა ქალთა თანასწორობისა“ მობერდა კიდევ ომიანობის ხანაში და დაეცა, მას ვერ აღადგენს ბურჟუაზიული ჯადოქარი, კიდევ ციმერვალდის დროს, და მით უმეტეს ძალა უფლების საბჭოთა ხელში გადასვლის შემდეგ, კლასთა ბრძოლის იდეამ ჰუნგრეთელ მუშა-ქალთა შორის მტკიცე ნიადაგი მოიპოვა. ამ კომუნისტურ ქალთა მოძრაობამ სავსებით გასწყვიტა კავშირი ძველ ოპორტიონისტულ ფემინიზმთან. მაგრამ ის იყო გათხუპნული მთელი ჰუნგრეთის მუშათა კლასის სისხლით.

თეთრი ტერრორისგან დაიღუპნენ ათი ათასობით მუშა ქალნი, და მხოლოთ ახლა ჰუნგრეთის მუშა-ქალი მიხვდა თუ რამდენი რამ დაკარგა მან საბჭოთა ძალა-უფლების დამარცხებით. ამ ხანით, როგორც ქალთა მოძრაობისათვის, აგრეთვე საზოგადოთ მუშათა მოძრაობისათვის, დადგა აუტანელი დღეები.

### ინგლისი.

წარმომადგენელი ინგლისის მოუთითებს, რომ წმინდა ქალთა კომუნისტური მოძრაობა ინგლისში ჯერ არ არის. ომიანობის დროს ქალი ტრედიუნიონებიდან იყო განწყობილი ლიბერალურათ. მხოლოთ უკანასკნელ ხანებში ეძლევა შესამჩნევი გასავალი კომუნისტური პარტიის აგიტაციას. მაგრამ უნდა გამოვტყდეთ რომ მუშა ქალი ტრედიუნიონელი ძალზე დაინტერესებულია სახელმწიფოებრივ ძალა-უფლებას საბჭოთა ხელში გადასვლით. მუშათა მიერ ძალა უფლების ჩაგდების დროს ინგლისელი მუშა-ქალი ტრედიუნიონებიდან შეიქნება საიმედო კლასიური მოღვაწე საზოგადოებათა ჩამოსაყალიბებლათ ახალ ფუძეზე.

### ლატვია.

ლატვიის მუშა ქალთა წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ლატვიის მუშა-ქალთა განვითარება შედარებით მაღალ დონეზე დგას. ლატვიის მუშა ქალი მუშაობს მამაკაცთან ერთად და მასთა ერთად მიისწრაფვის სოციალურ თავისუფლებისაკენ.

ლატვიის ციხეები სავსეა არა მარტო მამაკაცებით, არამედ კომუნისტ ქალებითაც.

ლატვია მოუთმენელათ ელის ბურჟუაზიის და სოციალ—გამყიდველების უფლების დამხობას, და საბჭოთა უფლების დამყარებას.

### ლიტვა.

ლიტვის მუშა ქალთა წარმომადგენელი გვიხატავს ლიტვის მუშა-ქალთა მუშაობას: მუშაობა სწარმოებს ოთხ ენაზე 1, ლიტვიურზე. 2, პოლონურზე 3, ბელორუსიულზე და 4 ებრაულზე. რიცხვი კომუნისტ ქალებისა იზრდება, მიუხედავათ გერმანელების, პოლონელებისა და შემდეგ ლიტვის ბურჟუაზიის ოკუპაციისა. ლიტველებმა მაინც შეიტანეს ლიტვის პროლეტარიატში და მასთან ერთად მუშა—ქალთა შორის რევოლიუციონური აღმაფრენა.

### მექსიკა

მექსიკის ქალთა წარმომადგენელი (ამერიკა), გვიხატავს მექსიკაში მუშა ქალთა ცხოვრებას და მათ მიერ სოციალისტურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებას. მექსიკაში არსებობს სამი პარტია: 1, შემთანხმებელი 2, სინდიკალისტური, 3, კომუნისტური.

კომუნისტური მოძრაობა ამ უკანასკნელ დროს ღრმად იდგამს ფესვს მექსიკის მუშებს და მუშა ქალთა შორის.

### თურქესტანი

თურქესტანის წარმომადგენელი ქალი ამბობს თურქესტანში მომუშავე მუშა ქალთა შესახებ შემდეგს: თურქესტანში დაარსებულია მუშა-ქალთა შორის სამუშაო ბიურო. პირველათ მუშაობა დაიწყო ძველ ქალაქებში, რადგან იქ მრავალი ღარიბი და მასთან ერთად ერთმანეთთან უფლებრივათ გაუთანასწორებელი ქალები იყვნენ. და რომ დაგვეწყო მუშაობა, ამისთვის საჭირო გახდა დაგვეარსებია წვრილი საწარმოო და კოოპერატიული ორგანიზაციები. მუსულმანურმა სექციამ მოიპოვა თურქესტანის ქალთა-შორის დიდი გასავალი.

(შემდეგი იქნება)

**ამხ. მუშა-ქალებო! „საქართველოს მუშა-ქალთა ფურცელი“ თქვენი ორგანოა, თქვენი ინტერესების დამცველია. გაავრცელეთ ის სოფლისა და ქალაქის მუშა ქალებში.**

## საერთაშორისო მუშა-ქალთა მოძრაობა.

### ამერიკაში

ამერიკის ქალების პოლიტიკური მოძრაობა, პოლიტიკურ უფლების მიღების შემდეგ გაითქვიფა დემოკრატიულ და რესპუბლიკანურ მოძრაობაში. როგორც დამოუკიდებელმა ორგანიზაციამ, მან შეწყვიტა თავისი არსებობა.

მოქმედების დასაწყისს ქალების ლიდერების უმრავლესობა გატაცებული იყო იდეალებით; ახლა კი მოქმედებენ გამოცდილი მომქმედი პოლიტიკანები, რომლებიც ატარებენ ბურჟუაზიულ პარტიების რეაქციონურ პოლიტიკას. იმის იმედები, ვითომ ქალთა მოძრაობა დაისახავს მიზნათ მშრომელ ქალების განთავისუფლებას, გაიფანტა. ბურჟუაზიულ წრიდან გამოსულმა ქალებმა გამოიყენეს თავისუფლება ხმის მიცემისა მხოლოდ დემოკრატიულ და რადიკალურ პარტიების რეაქციონურ პოლიტიკისათვის.

ახლა ამერიკაში არსებობს მხოლოდ უმნიშვნელო დამოუკიდებელი ფემინისტური მოძრაობა, „მამაკაცების ძალადობის“, წინააღმდეგ მიმართული, მაგრამ პოლიტიკური ფასი ამ მოძრაობისა სავსებით უმნიშვნელოა.

ამერიკის ქალები სარგებლობენ ყველაზე მეტი უფლებებით ვიდრე დანარჩენი ქვეყნის ქალები. მაგრამ ეს არ შეიქნა საკმარისი. პოლიტიკურმა უფლებამ არ მისცა არაფერი მშრომელ ქალს, სრულიად არ გააუმჯობესა მისი მდგომარეობა. ერთის მხრივ (და ეს ძალიან დამახასიათებელია იმპერიალიზმის განვითარების) პოლიტიკურ უფლების მინიჭება ქალებისათვის და დემოკრატიულ თავისუფლების გაფართოვება ხდებოდა მთავრობის და სახელმწიფოს რეაქციონურ პოლიტიკის გაღრმავებასთან ერთად. მეორე მხრივ პროლეტარი ქალები დღეს უფრო იყვლიფებიან ვიდრე მამაკაცები, და ახლა ამერიკის მშრომელ ქალებისათვის უკვე ნათელი შეიქნა, რომ მათი განთავისუფლება მხოლოდ პროლეტარულ რევოლიუციას შეუძლია.

ქალები შეადგენენ 15% ამერიკის კომუნისტურ პარტიის წევრებისას, კომუნისტური მოძრაობა მუშა ქალებში მიდის ჩქარი ნაბიჯით. კერძო გაფიცვების დროს ქალები იჩენენ დიდ გაბედულობას და ვაჟკაცობას.

არ გვეპარება ეჭვი, რომ ის კრიზისი, რომელიც მოელის ამერიკას, ამერიკის პროლეტარ-ქალებს შეაგნებინებს თავის მდგომარეობას და მხარს დაუჭერს საუკეთესო მებრძოლებს კაპიტალისტურ წყობილების წინააღმდეგ. მათ მიიზიდავს იქ შეგნება, რომ მარტო სოციალურ რევოლიუციის გამარჯვება მიანიჭებს მათ განთავისუფლებას და სრულ თანასწორობას.

ლუიზა ფრაინა.

**ამხ. მუშა-ქალებო! დაეხმარეთ თქვენს მესაიდუმლე და მებაირაღტრე ორგანოს: „საქ. მუშა-ქალთა ფურცელს“! გამოგზავნეთ კორესპონდენციები თქვენი ცხოვრებიდან! გამოგზავნეთ ცნობები ქალთა სექციების მუშაობის შესახებ! გახსოვდეთ, რომ თქვენი მესაიდუმლე იარსებებს, მხოლოთ თქვენივე დახმარებით!**

**მოიხადეთ თქვენი ვალი მის წინაშე!**

დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილი.

## განცხადებანი.

გამომცემლობა

### „წითელი ვარსკვლავი“

გამოსულია.

1. ვინ არიან კომუნისტები (ბოლშევიკები). ფ. 3 მ.
2. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ინტერნაციონალი მოშაკვდავი და ინტერნაციონალი ამომავალი. ფ. 5 მ.
3. მ. კასპიელი. ვინ სტყუის? ფ. 10 მ.
4. ნ. ლენინი. ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. ფ. 5 მ.
5. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ომი და სოციალიზმის კრიზისი. ფ. 20 მ.
6. მ. კასპიელი. ინტერნაციონალი და ომის საკითხი. ფ. 15 მ.
7. პროგრამა რუს. კომ. პარტიისა.
8. ბუხარინი. პროლეტ. დიქტატურა რუსეთში და მსოფლიო რევოლიუცია.

იბეჭდება:

9. ბუხარინი და პრეობრაჟენსკი. კომუნიზმის ანბანი.

დამზადებულია დასაბეჭდათ:

10. ზინოვიევი. პარტია და პროფესიონალური კავშირები.
11. მინინი. რელიგია და კომუნიზმი.
12. პეტროვიჩი. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
13. ნ. გექტორი. რით ახსნება რუსეთში სოციალისტ. რევოლიუციის ადვილად გამარჯვება.
14. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. კომუნ. ცენტ. კომიტეტის მიმართვა კავშირისადმი 1850 წ.
15. კ. მარქსი. სამოქალაქო ომი საფრანგეთში 1870—71 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3, მეორე სართული, ტელ. 8—91.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქუჩ. № 3, მეორე სართული. ტელ. 8—91.

ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 165.

ბიურო ღიაა საღ. 5—7 საა. საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ვორონცოვის სახლის ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ვორონცოვის სახლის ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)

ბიურო ღიაა დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ვორონცოვის სახლის ბინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 საა. საათამდე და საღამოს 5—7 საა. საათ.